კავშირი სტუდენტების კონტროლის ლოკუსს, წარუმატებლობის შიშსა და აკადემიურ მოსწრებას შორის

ნანი ჯავახიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანი ჯავახიშვილი

17/06/2023

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა სტუდენტების კონტროლის ლოკუსს, წარუმატებლობის შიშსა და აკადემიურ მოსწრებას შორის კავშირის შესწავლა. მონაცემები შეგროვდა დისტანციურად, google forms-ის საშუალებით. წარუმატებლობის შიშის ზოგადი დონის დასადგენად გამოყენებული იყო წარუმატებლობის შიშის კითხვარის მოკლე ვერსია- The Performance Failure Appraisal Inventory (Short-Form), ხოლო წარუმატებლობის შიშის ცალკეული ავერსიული შედეგების: თვითშეფასების გაუფასურების შიშის და მნიშვნელოვანი სხვების მიერ ინტერესის დაკარგვის შიშის შესაფასებლად- წარუმატებლობის შიშის სკალის გრძელი ვერსია- The Performance Failure Appraisal Inventory (Long-Form). კონტროლის ლოკუსის საკვლევად გამოყენებული იყო როტერის კონტროლის ლოკუსის სკალა (Rotter,1966). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 130-მა სტუდენტმა. შედეგების ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია შინაგანი კონტროლის ლოკუსსა და აკადემიურ მოსწრებას შორის, ხოლო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია გამოიკვეთა შინაგანი კონტროლის ლოკუსსა და წარუმატებლობის შიშის ზოგად დონეს შორის. თუმცა, არ გამოიკვეთა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი გარეგანი კონტროლის ლოკუსსა და წარუმატებლობის შიშის ზოგად დონეს შორის, ისევ როგორც, გარეგანი კონტროლის ლოკუსსა და აკადემიურ მოსწრებას შორის. წინამდებარე კვლევის შედეგად, დადასტურდა, რომ წარუმატებლობის ზოგადი დონე უარყოფითადაა დაკავშირებული აკადემიურ მოსწრებასთან. ამასთანავე, წარუმატებლობის შიშის ცალკეული შედეგები: თვითშეფასების გაუფასურების შიში და მნიშვნელოვანი სხვების მიერ ინტერესის დაკარგვის შიში უარყოფითად უკავშირდება აკადემიურ მოსწრებას. წინამდებარე კვლევის კიდევ ერთი მიზანი იყო შეესწავლა, წარმოადგენს თუ არა წარუმატებლობის შიშის ზოგადი დონე და კონტროლის ლოკუსი აკადემიური მოსწრების უარყოფით პრედიქტორებს. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ წარუმატებლობის შიშის ზოგად დონეს აქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი

უარყოფითი ეფექტი აკადემიურ მოსწრებაზე, თუმცა, კონტროლის ლოკუსის შემთხვევაში, მისი უარყოფითი ეფექტი აკადემიურ მოსწრებაზე არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

საძიებო სიტყვები: წარუმატებლობის შიში, კონტროლის ლოკუსი, აკადემური მოსწრება, სტუდენტები

Abstract

The major goal of the current study was to examine the relationship between students' locus of control, fear of failure, and academic achievement. Online data was collected using Google Forms. The Performance Failure Appraisal Inventory (Short-Form) was used to determine the general score of fear of failure as well as scores for two specific fear of failure domains: It was used to measure the fear of devaluing one's self-estimate (FDSE) and the fear of important others losing interest (FIOLI) by The Performance Failure Appraisal Inventory (Long-Form). The locus of control was determined using Rotter's Locus of Control Scale. The study included 130 students. The analysis of the data revealed a statistically significant negative correlation between internal locus of control and general fear of failure, as well as a statistically significant positive correlation between students' internal locus of control and academic achievement. However, there was not a significant correlation between external locus of control and academic achievement as well as external locus of control and general fear of failure. As a result, the present study, significant negative correlation was found between general fear of failure and academic achievement. Additionally, there is a negative correlation between academic achievement and two particular fear of failure domains: the fear of devaluing one's self-estimate (FDSE) and the fear of important others losing interest (FIOLI). The current study also sought to determine whether locus of control and general fear of failure are negative predictors of academic achievement. The results of the study revealed that the general level of fear of failure has a statistically significant negative effect on academic achievement, however, in the case of locus of control, its negative effect on academic achievement was not found to be statistically significant.

Key words: Locus of control, Fear of failure, Academic achievement, students

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ მაია წერეთელს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის. ასევე, კვლევაში მონაწილეობის მიღებისთვის, მადლობას ვუხდი კვლევის მონაწილე თითოეულ სტუდენტს.